ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი #3

ქ. ონი 16. 03. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გივი მეტრეველი.

სხდომას კომისიის 11 წევრიდან ესწრებოდა 11 წევრი: გივი მეტრეველი, ბესიკი მაისურაძე, მერაბ ბიჭაშვილი, რევაზ საბანაძე, ნონა მაისურაძე, ემზარ საბანაძე, ბიძინა ყიფიანი, ნინო გობეჯიშვილი, როსტომ ლობჯანიძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, გელა მეტრეველი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ქ. ონის ტერიტორიაზე განთავსებული უსახური და ავარიული შენობა-ნაგებობების მდგომარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

2. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია გარე ვაჭრობისა და ბაზრობის სწორი რეგულირების შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ქ. ონის ტერიტორიაზე განთავსებული უსახური და ავარიული შენობა-ნაგებობების მდგომარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ქ. ონის ტერიტორიაზე განთავსებული უსახური და ავარიული შენობა-ნაგებობების მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ ქ. ონის რამდენიმე უბანში განთავსებულია ავარიული და უსახური შენობები, რაც ამახინჯებს ქალაქის იერსახეს და საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ფიზიკურ ჯანმრთელობას. ქალაქის იერსახის შენარჩუნება-გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა დროულად მოხდეს აღნიშნული შენობა-ნაგებობების აღრიცხვა, მესაკუთრეების დადგენა, მათთვის წერილობითი შეტყობინებების გაგზავნა, რათა მათ გონივრულ ვადებში მოახდინონ მათ საკუთრებაში არსებული ობიექტების აღდგენა-კეთილმოწყობა ან სრული დემონტაჟი და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო მასალებისგან ტერიტორიის გასუფთავება.

მოისმინეს: 2. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია გარე ვაჭრობისა და ბაზრობის სწორი რეგულირების შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია გარე ვაჭრობისა და ბაზრობის სწორი რეგულირების შესახებ. მომხსენებელმა ისაუბრა ბაზარში არსებულ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ არ ხდება ბაზარში განთავსებული საკვები პროდუქტების ვარგისიანობაზე კონტროლი, ასევე, ბაზრობის ტერიტორიის დახურული და ღია სივრცე ფართის სიმცირის გამო, ვერ პასუხობს მომხმარებელთა მოთხოვნებს, სავაჭრო დახლები ისე მჭიდროდ არის განთავსებული, რომ არ რჩება თავისუფალი სივრცე გადაადგილებისათვის. ფართის სიმცირის გამო, მოვაჭრეთა ნაწილს ბაზრის გარე პერიმეტრი აქვს დაკავებული, რაც ზღუდავს როგორც ავტოტრანსპორტის, ისე ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას. ასევე, ხშირია გარე პერიმეტრზე ცოცხალი საქონლით ვაჭრობა, რაც ყოვლად დაუშვებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამიტომ საჭიროა, მოიძებნოს შესაბამისი ტერიტორია, რომელიც განკუთვნილი იქნება ცოცხალი საქონლით მოვაჭრეთათვის, ასევე, საჭიროა, დაჩქარდეს ყოფილი ბაზრის ტერიტორიაზე ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაზრის მშენებლობა.

აზრი გამოთქვეს: რ. საბანაძემ აღნიშნა, რომ ცოცხალი საქონლით ვაჭრობისათვის კარგი იქნება ადგილის გამოყოფა ქალაქის გარე პერიმეტრზე.

გივი მეტრეველი

კომისიის თავმჯდომარე

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2022 წ. 16 მარტს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა. კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხები:

1.საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ქ. ონის ტერიტორიაზე განთავსებული უსახური და ავარიული შენობა-ნაგებობების მდგომარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

2. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია გარე ვაჭრობისა და ბაზრობის სწორი რეგულირების შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

ქალაქის იერსახის შენარჩუნების, კეთილმოწყობის, მიმზიდველი და მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა უახლოეს პერიოდში მოხდეს ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული ავარიული და უსახური შენობა-ნაგებობების აღრიცხვა-ინვენტარიზაცია, მესაკუთრეების დადგენა და წერილობითი შეტყობინებების გაგზავნა, რათა მათ გონივრულ ვადებში მოახდინონ მათ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების აღდგენა-კეთილმოწყობა ან სრული დემონტაჟი და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების გატანა და ტერიტორიის გასუფთავება. მართალია, ბოლო წლებში რამდენიმე ლოკაციაზე მოხდა უსახური და ავარიული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი და ტერიტორიის გასუფთავება სამმშენებლო ნარჩენებისგან, მაგრამ ეს ვერ ცვლის ზოგად მძიმე სურათს. ამ კუთხით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა და ძნელად აღქმადი ბაზოვის ქუჩის დასაწყისსა და სინაგოგას მიმდებარე ტერიტორიაზე. ყოველწლიურად ასობით უცხოელი ვიზიტორის ხედვის არეში ექცევა ბაზოვის ქუჩის ამ ორ ლოკაციაზე განთავსებული დანგრეული და ავარიული შენობები, რაც უარყოფითად აისახება ჩვენი ქალაქის

პრესტიჟზე, განსაკუთრებით ამ ორ ლოკაციას ნუ ვაქცევთ ჩვენი ქალაქის სავიზიტო ბარათად. საჭიროა დროულად იქნეს მიღებული ზომები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ერთი აგრარული ბაზარი, რომელიც განთავსებულია შემდეგ მისამართზე - ქ. ონი, კახაბერის ქ. #30. ტერიტორიის ფართობი 2 272კვ.მ-ია. ბაზრობა იმართება კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით. ბაზრობის ტერიტორიის სიმცირის გამო, სავაჭრო დახლები მჭიდროდ არის განთავსებული და არ რჩება თავისუფალი სივრცე მომხმარებლის გადაადგილებისთვის. ფართის სიმცირის გამო, მოვაჭრეთა ნაწილს ბაზრის გარე პერიმეტრი აქვს დაკავებული და ეწევიან გარე ვაჭრობას ყოველგვარი სტანდარტებისა და ნორმების დაცვის გარეშე, რაც მომხმარებლის სამართლიან გულისწყრომას იწვევს. ასევე, იზღუდება როგორც ავტოტრანსპორტის, ისე ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა. ხშირია ბაზრობის გარე პერიმეტრზე ცოცხალი ცხოველებით ვაჭრობის ფაქტები, რაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ყოვლად დაუშვებელია (ადგილმდებარეობა, ვეტერინარია, ჰიგიენა და სურსათის უვნებლობა). პრობლემა დროულად მოსაგვარებელია, ამიტომ კომისიამ გადაწყვიტა, ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერიას, დაჩქარდეს ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაზრის მშენებლობა ყოფილი ბაზრის ტერიტორიაზე.

გივი მეტრეველი

კომისიის თავმჯდომარე